



Wir machen Arbeit sicher und gesund.

VDSI

Verband für Sicherheit,
Gesundheit und Umweltschutz
bei der Arbeit

ვისწავლოთ უბედური შემთხვევებისგან –
პრექტიკული მაგალითი 2

ელექტრული რკალის შედეგად მიღებული
დამწვრობა

რა მოხდა?



სამუშაო სიტუაცია

დაშავებული პირი: შეთხვევის შედეგად დაშავდა 51 წლის ელექტრიკოსი, რომელსაც ელექტრიკოსის პროფესია შესწავლილი და მოცემული სამუშაოს შესასრულებელი ინსტრუქტაჟიც გავლილი ჰქონდა. მას პირველადი სამედიცინო დახმარებაც გავლილი ჰქონდა.

დავალება / საქმიანობა: მუშაკს დავალებული ჰქონდა ახალი ხაზი დაეერთებინა ელექტროქვესადგურში და დაეინსტალირებინა VDE-ს მიხედვით სერტიფიცირებული და დამტკიცებული კომპონენტი.

რა მოხდა?



უბედური შემთხვევის მიმდინარეობა 1

თანამშრომელმა სამუშაოს შესასრულებლად გამოიყენა უსაფრთხოების სათვალე და ჩაფხუტი, მაგრამ არა საიზოლაციო დამცავი ხელთათმანები.

ქვეგამანაწილებელი (3 ფაზიანი ცვლადი ძაბვა 400 ვ) ბოლომდე არ იყო გათიშული ამ სამუშაოებისათვის.




რა მოხდა?



უბედური შემთხვევის მიმდინარეობა 2

ელექტროსმა თავდაპირველად მოაცილა დნობადი მცველი, რათა უზრუნველყო, რომ შეერთების წერტილში არ არის ძაბვა.

Gesundheit und Umweltschutz
bei der Arbeit




რა მოხდა?



უბედური შემთხვევის მიმდინარეობა 3

ახალი კაბელების დასაკავშირებლად, მას ორივე ხელის გამოყენება მოუწია არსებული პლასტმასის საფარის მოსახსნელად.




რა მოხდა?



VDSI

უბედური შემთხვევის მიმდინარეობა 4

პლასტმასის საფარის მოხსნისას მოულოდნელად
წარმოიქმნა რკალი.



რა შედეგები მოჰყვება უბედურ შემთხვევას?



VDSI

ელექტროსმა ორივე ხელზე მე-2 ხარისხის დამწვრობა მიიღო.

Gesundheit und Umweltschutz
bei der Arbeit



უბედური შემთხვევის გამომწვევი მიზეზები




VDSI

რატომ მოხდა უბედური შემთხვევა?

ქვეგამანაწილებელი არ იყო გამორთული ელექტროსამუშაოების ჩატარებისათვის, რადგან ელექტროენერგიის გათიშვა საწარმოს მუშაობის დიდ ნაწილს შეეხებოდა და მის პარალიზებას გამოიწვევდა.

რკალი სავარაუდოდ გამოწვეული იყო ლითონის პატარა ნაჭრით, რომელიც ქმნიდა გამტარ, დაბალი წინააღობის კავშირს ფაზებს შორის.

საიზოლაციო დამცავი ხელთათმანები მართალია, ხელს ვერ შეუშლიდა უბედურ შემთხვევას, მაგრამ შეამცირებდა დაზიანებების სიმძიმეს.



პრევენციული ზომები



VDSI

მსგავსი უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, მიღებულ იქნა შემდეგი ზომები:

- არსებული რისკის შეფასება გადაიხედა
- ხელახლა ჩატარდა ინსტრუქტაჟი ელექტრო სამუშაოების უსაფრთხოების 5 წესზე
- შეიქმნა ახალი საოპერაციო ინსტრუქციები და ჩატარდა შესაბამისი ინსტრუქტაჟი:
 - ელექტროსამუშაოები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მოწყობილობა გამორთულია
 - თუკი ძაბვის ქვეშ მუშაობა საჭიროა მყარი მიზეზების გამო, ეს უნდა განხორციელდეს სპეციალურად მომზადებული პირების მიერ
 - უნდა იქნას გამოყენებული შესაბამისი პირადი დამცავი აღჭურვილობა
- ყველა ელექტროგამანაწილებელ დაფაზე დამაგრდა სტიკერები, რომლებიც მიუთითებს უსაფრთხოების 5 წესზე

პრევენციული ზომები



VDSI

ელექტროსამუშაოების ჩატარებისას უსაფრთხოების 5 წესია:

1. გათიშვა (დარწმუნდით, რომ ძაბვა არ არის)!
2. დაიცავით თავი ხელახლა ჩართვისგან!
3. შეამოწმეთ ყველა ბოძი ძაბვის არარსებობაზე!
4. დამიწება და მოკლე ჩართვა!
5. ახლოს ძაბვის ქვეშ მყოფი ნაწილები დაფარეთ ან შემოსაზღვრეთ!

გთხოვთ დაფიქრდეთ! როგორაა საქმეები ჩვენს კომპანიაში?

- სად გვაქვს სამუშაოები ძაბვის ქვეშ?
- ვის აქვს ჩვენთან უფლება ძაბვის ქვეშ მუშაობისა?
- არ არის შესაძლებლობა, ძაბვის გარეშე ჩართვისა?
- თუ ძაბვის ქვეშ მუშაობა აბსოლუტურად აუცილებელია: რა დამატებითი ზომები უნდა იქნას მიღებული?
- რა პერსონალურ დამცავ აღჭურვილობას ვიყენებთ? არის გაუმჯობესების წინადადებები, რადგან ისინი სამუშაოს შესრულებაში „ხელს გვიშლიან“
- რა საკითხებია ჯერ კიდევ განსახილველი?